საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 787 2022 წლის 6 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23

დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის №44 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ 2022 წლის 3 მაისს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 210 000 000 (ორას ათი მილიონი) ლარი, მათ შორის:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 977 711 (ორი მილიონ ცხრაას სამოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას თერთმეტი) ლარისა, დანართ №1-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 898 256 (ხუთი მილიონ რვაას ოთხმოცდათვრამეტი ათას ორას ორმოცდათექვსმეტი) ლარისა, დანართ №2-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 844 654 (ორი მილიონ რვაას ორმოცდაოთხი ათას ექვსას ორმოცდათოთხმეტი) ლარისა, დანართ №3-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 993 120 (ორი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაცამეტი ათას ას ოცი) ლარისა, დანართ №4-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

5. ვანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 039 193 (სამი მილიონ ოცდაცხრამეტი ათას ას ოთხმოცდაცამეტი) ლარისა, დანართ №5-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

6. ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 033 545 (ოთხი მილიონ ოცდაცამეტი ათას ხუთას ორმოცდახუთი) ლარისა, დანართ №6-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 941 129 (ორი მილიონ ცხრაას ორმოცდაერთი ათას ას ოცდაცხრა) ლარისა, დანართ №7-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 588 382 (სამი მილიონ ხუთას ოთხმოცდარვა ათას სამას ოთხმოცდაორი) ლარისა, დანართ №8-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

9. საჩხერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 612 557 (ოთხი მილიონ ექვსას თორმეტი ათას ხუთას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარისა, დანართ №9-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

10. ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 557 168 (ორი მილიონ ხუთას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას სამოცდარვა) ლარისა, დანართ №10-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 7 535 300 (შვიდი მილიონ ხუთას ოცდათხუთმეტი ათას სამასი) ლარისა, დანართ №11-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

12. წყალტუბოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 112 687 (ოთხი მილიონ ას თორმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაშვიდი) ლარისა, დანართ №12-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

13. ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 616 456 (სამი მილიონ ექვსას თექვსმეტი ათას ოთხას ორმოცდათექვსმეტი) ლარისა, დანართ №13-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

14. ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 825 762 (ორი მილიონ რვაას ოცდახუთი ათას შვიდას სამოცდაორი) ლარისა, დანართ №14-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

15. ხონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 425 930 (ორი მილიონ ოთხას ოცდახუთი ათას ცხრაას ოცდაათი) ლარისა, დანართ №15-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

16. ახმეტის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 412 202 (სამი მილიონ ოთხას თორმეტი ათას ორას ორი) ლარისა, დანართ №16-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

დანართი N7

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	სოფ. ზედა საზანოს საბავშვო ბაღის შენობის სამშენებლო სამუშაოები	648 833.0	616 391.0
2	სოფ. ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა	800 000.0	760 000.0
3	სოფ. ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	746 820.0	709 479.0
4	სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	531 830.0	505 239.0
5	ქ. თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია	234 081.0	222 376.0
6	სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	134 362.0	127 644.0
	სულ ჯამი	**3 095 926.0**	**2 941 129.0**